

ამინდის მოკლე და საშუალოვადიანი პროგნოზები, ასევე ინფორმაცია გეოდინამიკური მოვლენების შესახებ ხელმისაწვდომია ყველა მომხმარებლისთვის ვებ-გვერდზე: www.meteo.gov.ge ამინდის პროგნოზები ვრცელდება აგრეთვე მასმედის საშუალებებით (ტელევიზია, რადიო, პრესა).

გაფრთხილებები მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოდინამიკური მოვლენების შესახებ ოპერატიულად გადაეცემა ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს, დაინტერესებულ სამინისტროებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტს და მასმედის საშუალებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მოყვანილი პროგნოზები სათანადოდაა ასახული ასევე გარემოს ეროვნული სააგენტოს ყოველდღიურ საინფორმაციო ბიულეტენში, რომელშიც ქვეყანაში შექმნილი და მოსალოდნელი ჰიდრომეტეოროლოგიური მდგომარეობაა გაშუქებული აქვე ვრცელდება ინფორმაცია მდინარეთა წყლის დონის (სმ) ცვალებადობის შესახებ.

ბიულეტენი ელექტრონულად (ინტერნეტის საშუალებით) ვრცელდება ყველა დაინტერესებულ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაზე, დადგენილი სიის მიხედვით და მიეწოდება ყველა მუნიციპალიტეტს. იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელი ამინდის და მდინარეების მდგომარეობის პროგნოზირებისას მოხდა მეტეოროლოგიური ან ჰიდროლოგიური მოვლენის კრიტიკული (კატასტროფული ხასიათის) ან მასზე ჭარბი სიდიდის წინასწარმეტყველება, აღნიშნულ ბიულეტენში განთავსდება სპეციალური ადრეული გაფრთხილება. ბიულეტენი თავსდება "ვებ-გვერდზე".

ყოველწლიურად ასევე მზადდება გეოლოგიური საინფორმაციო ბიულეტენი მოსალოდნელი საშიშროების რისკისა და გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების დასახვით, ცალკეული რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით; ინფორმაციული ბიულეტენი რეგულარულად ეგზავნება შსს სამინისტროს საგანგებო რეაგირების დეპარტამენტს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებს, რეგიონების ხელმძღვანელობას, ასევე ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას და თავსდება "ვებ-გვერდზე" ყოველდღიურ რეჟიმში.

ამინდის და ჰიდროლოგიური პროგნოზების შესახებ ინფორმაციის დასაბუთებლად დღე-ღამის ნებისმიერ დროს შეიძლება მიმართოთ მორიგე სინოპტიკოსს ტელეფონზე: 243 95 50 31



გარემოს ეროვნული სააგენტო
NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY



**ქაზასფროვანის რისკის შეფასება:
პროგნოზირებისა და გაფრთხილების სისტემა**

გარემოს ეროვნული სააგენტო
(გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო)

გარემოს ეროვნული სააგენტო


მისამართი: 0112 ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150

ტელეფონი: +995 (32) 43 95 43; +995 (32) 43 95 03;

ფაქსი: +995 (32) 43 95 02;

ელ-ფოსტა: info@environment.ge

ვებგვერდი: www.meteo.gov.ge



კატასტროფების რისკის შემცირება: გარემოს ეროვნული სააგენტო (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო)

პროგნოზირებისა და გაფრთხილების სისტემა

შესავალი

წყალდიდობები, მეწყერები, ღვარცოფები და მიწისძვრები არის ის, რასაც ბევრი ჩვენგანი ბუნებრივი კატასტროფების მაგალითს უწოდებს. რეალურად, ეს არის ბუნებრივი რისკების მაგალითები, რომლებიც იქცევა კატასტროფად მას შემდეგ, რაც სოფლები და ქალაქები ზიანდება. ამგვარი საფრთხეების გამკლავებისთვის საჭირო პრევენციისა და მომზადების ნაკლებობა თემებს ხდის მოწყვლადს მიყენებული ზიანისადმი. ამიტომ, მნიშვნელოვანია ისეთი ორგანიზაციებისა და პროგრამების ცოდნა, რომლებიც დაეხმარებიან ადგილობრივ თემებს უფრო ხელმისაწვდომი გახდეს ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე პროგნოზირებასა და კატასტროფებით გამოწვეული ზიანის პრევენციასა და შემცირებაზე.

2005 წელს, საქართველოს მთავრობამ მიიღო ჰიოგოს სამოქმედო პროგრამა 2005-2015 წლებისათვის კატასტროფების მიმართ ქვეყნისა და თემების გამძლეობის შექმნის თაობაზე, რითაც კატასტროფების რისკების შემცირება გახდა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი ქვეყნისათვის.

საქართველოს ანგარიში „ხედავ ნინახაზიდან - 2013“ წარმოადგენს ჰიოგოს მოქმედებათა გეგმის განხორციელების საზოგადოებრივი მონიტორინგის ნაწილს, რომელიც ხორციელდება 2009 წლიდან „ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირებისათვის არასამთავრობო ორგანიზაციების გლობალური ქსელის“ (GNDR) ინიციატივით. კავკასიის რეგიონულმა გარემოსდაცვითმა ცენტრმა (REC Caucasus), როგორც აღნიშნული ქსელის წევრმა განახორციელა ეს კვლევა საქართველოში 2011 და 2013 წლებში. კვლევის განხორციელებას კოორდინაციას უწევს Oxfam, შვეიცარიის განვითარების სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით. ადგილობრივ დონეზე (რისკის ქვეშ მყოფ თემებში) ჩატარებული კვლევების მიხედვით მოსალოდნელი კატასტროფების რისკის შემცირების მიმართულებით, პროგნოზირება და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და ამ პროცესში თემების ჩართულობა გამოიკვეთა როგორც გადაუდებელი აუცილებლობა და თემების უპირველესი საჭიროება.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“ წარმოადგენს ერთადერთ სახელმწიფო დაწესებულებას, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე რეგულარულად აკვირდება ჰიდრომეტეოროლოგიურ და გეოდინამიკურ პროცესებს, აშზადავს და ოპერატიულად ავრცელებს მოკლე, საშუალო და გრძელვადიან საერთო დანიშნულების და სპეციალიზირებულ პროგნოზებს და გაფრთხილებებს მოსალოდნელი, სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენების შესახებ.

გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ინფორმაციული პროდუქციის ჩამონათვალი:

1. მატეოროლოგიის სფერო:

- ამინდის მოკლევადიანი პროგნოზები 24 საათის წინსწრებით (დღე-ღამის განმავლობაში ჰაერის მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურა, ნალექიანობა, ქარის სიჩქარე და მიმართულება);

- დასავლეთ საქართველოს დაბლობის, მთიანი და მაღალმთიანი რეგიონებისთვის;

- აღმოსავლეთ საქართველოს ბარის, მთიანი და მაღალმთიანი რეგიონებისთვის;

- დასახლებული პუნქტებისთვის თბილისი, სოხუმი ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ცაგერი, გორი, ცხინვალი, სტეფანწმინდა, ახალციხე, თელავი, სიღნაღი, დედოფლისწყარო, ყვარელი

- ამინდის საშუალოვადიანი პროგნოზები 72 საათამდე წინსწრებით (დღე-ღამის განმავლობაში ჰაერის მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურა, ნალექიანობა, ქარის სიჩქარე და მიმართულება);

- დასავლეთ საქართველოს დაბლობის, მთიანი და მაღალმთიანი რეგიონებისთვის;

- აღმოსავლეთ საქართველოს ბარის, მთიანი და მაღალმთიანი რეგიონებისთვის;

- დასახლებული პუნქტებისთვის: თბილისი, სოხუმი ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ცაგერი, გორი, ცხინვალი, სტეფანწმინდა, ახალციხე, თელავი, სიღნაღი, დედოფლისწყარო, ყვარელი

- ამინდის საშუალოვადიანი პროგნოზები 240 საათამდე წინსწრებით(დღე-ღამის განმავლობაში ჰაერის მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურა, ნალექიანობა, ქარის სიჩქარე და მიმართულება);

- დასავლეთ საქართველოს დაბლობის, მთიანი და მაღალმთიანი რეგიონებისთვის;

- აღმოსავლეთ საქართველოს ბარის, მთიანი და მაღალმთიანი რეგიონებისთვის;

- დასახლებული პუნქტებისთვის: თბილისი, სოხუმი ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ცაგერი, გორი, ცხინვალი, სტეფანწმინდა, ახალციხე, თელავი, სიღნაღი, დედოფლისწყარო, ყვარელი

- ამინდის გრძელვადიანი პროგნოზები 1 თვის წინსწრებით (ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურის და თვის განმავლობაში მოსული ნალექების რაოდენობის გადახრები საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობებიდან);

- დასავლეთ საქართველოს დაბლობის, მთიანი და მაღალმთიანი რეგიონებისთვის;

- აღმოსავლეთ საქართველოს ბარის, მთიანი და მაღალმთიანი რეგიონებისთვის;

- ამინდის გრძელვადიანი სეზონური პროგნოზები (სეზონის განმავლობაში ჰაერის საშუალო ტემპერატურის და მოსული ნალექების რაოდენობის გადახრები სეზონის საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობებიდან);

- საქართველოს მთელი ტერიტორიისთვის

2. ჰიდროლოგიის სფერო:

- მოკლევადიანი ჰიდროლოგიური პროგნოზები 24 საათიანი წინსწრებით (მდინარეებში წყლის დონეების ცვლილებები)

- დასავლეთ საქართველოს მდინარეებისთვის;

- აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებისთვის

- საშუალოვადიანი ჰიდროლოგიური პროგნოზები 240 საათიანი წინსწრებით (მდინარეებში წყლის დონეების ცვლილებები);

- დასავლეთ საქართველოს მდინარეებისთვის;

- აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებისთვის

- გრძელვადიანი ჰიდროლოგიური პროგნოზები

- საქართველოს მდინარეებზე წყლის მოსალოდნელი ხარჯების განაწილება თვეების მიხედვით;

- აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში მდინარეთა წყლიანობა მეორე კვარტალსა და სავგებტაცო პერიოდში;

- გაზაფხულის წყალდიდობის პერიოდისა და აპრილ-დეკემბერში წყალსაცავებში წყლის მოსალოდნელი ჩამონადენი

გაფრთხილებები მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ (წყალდიდობა-წყალმოვარდნები, ძლიერ ნალექები, სეტყვა, ნისლი, თოვლის ზვავები, ზღვის შტორმული ღელვა, ძლიერი ქარები, ჰაერის ექსტრემალურად მაღალი ან დაბალი ტემპერატურა, წყინვები:

- საჭიროების მიხედვით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

- სპეციალიზირებული ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზები:

- საქართველოს საავტომობილო გზებზე მოსალოდნელი თოვლის ზვავების, ნისლის, ქარბუქის, ლიჰვინულის შესახებ

3. გეოლოგიის სფერო:

- დასახლებულ პუნქტებში, სტიქიურ-კატასტროფული გეოლოგიური პროცესების ექსტრემალური გააქტიურების პირობებში, სიტუაციის ოპერატიული შეფასების შედეგად დადგენილი უარყოფითი შედეგები, განსაზღვრული საშიშროების რისკები, საგანგებო სიტუაციაში მოქმედი მოსახლეობისთვის გაცემული რეკომენდაციები, გადაუდებელი ღონისძიებების გასატარებლად საჭირო დასკვნები;

- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სტიქიურ-გეოლოგიურ პროცესებზე და გეოლოგიური გარემოს ანთროპოგენულ ცვლილებებზე პერმანენტული გეომონიტორინგული კვლევების შედეგები;

- ტერიტორიის მდგრადი ათვისების, სამეურნეო და საინჟინრო ობიექტების საიმედოდ განლაგებისა და გეოლოგიური გარემოს ოპტიმალური მართვის მიზნით ჩატარებული ყველა მასშტაბის (მათ შორის სპეციალური) საინჟინრო-გეოდინამიკური და გეოეკოლოგიური კვლევების შედეგები;

- საქართველოს მოსახლეობის დაცვისა და საინჟინრო-სამეურნეო ობიექტების საიმედო ფუნქციონირებისათვის სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარებისა და საშიშროების რისკის ზონირების საბაზისო რუკები;

- საშიში გეოლოგიური პროცესების განმეორებადობის სიხშირის და ინტენსივობის მიხედვით საქართველოს ტერიტორიის დარაიონება გრძელვადიანი პროგნოზის მიმართებაში;

- მსხვილი სამეურნეო-საინჟინრო ობიექტების პროექტების საინჟინრო-გეოლოგიური და გეო-ეკოლოგიური ექსპერტიზა გარემოს შესაძლო ცვლილებებზე ზეგავლენის მასშტაბების დასადგენად და, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები;

